



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000058880667621

№ 05-39-D

07 / დეკემბერი / 2021 წ.

### ბრძანება

**სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების, საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალის განცხადებების მიღებისა და შესაბამის მიმართულებებზე არჩევნების ვადების განსაზღვრის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის მე-6 პუნქტის, კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 23 თებერვლის სხდომის (ოქმი #17), 2021 წლის 13 მარტის სხდომის (ოქმი #19), 2021 წლის 12 სხდომის (ოქმი #05) და კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 03 დეკემბრის სხდომის (ოქმი #6) გადაწყვეტილებებისა და „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ნოემბრის #44/2021 დადგენილების საფუძველზე,

### გბრძანებ:

1. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის საბჭოს წევრთა არჩევნების ჩასატარებლად დამტკიცდეს საარჩევნო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თეონა თაყაიშვილი - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის იურისტი, კომისიის თავმჯდომარე;

1.2. რუსუდან თაბაგარი - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

1.3. დავით ხავთასი – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის სასწავლო დეპარტამენტის ხელმძღვანელი, კომისიის წევრი;


2. საბჭოს წევრობის მსურველი აკადემიური პერსონალი დასკანერებული სახით ელექტრონულად აგზავნის ხელმოწერილ განცხადებას (დანართი 1) 2021 წლის 8 დეკემბრიდან 2021 წლის 14 დეკემბრის 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე : kantselaria@tsc.edu.ge

3. კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი მიმართულების (იხ.დანართი 2) სხდომაზე ღია კენჭისყრით 15 და 16 დეკემბერს .

4. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე და დაეგზავნოს მიმართულების ხელმძღვანელებს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის  
ფაკულტეტის დეკანი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელექტრონულად 

მაია ვირსალაძე